თეატრი

საეოველ-კვირაო ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი.

22 ივნისი | გამოცემა | № 25 | კვირაობით | 1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მანეთი, ნასევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ.“

რედაქცია სთხოვს იმ ხელთ მოამწერთა, რომელთა დღემდისინ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული დაუჩქარონ და შემოუტანონ 1 ივლისამდე, თორემ პირველს ივლისის შემდეგ გაზეთის გაგზავნა მოესპოგათ.

ცხოვრების თეატრი.

ცხოვრების თეატრი ჩვეულებრივად ჰველავს. მოქმედება და მომქმედნი პირნი წამ-და-უწუმ იცვლებიან. ერთ-მეორეზედ საყურადღებო ამბები ერთ-მეორეზედ სამწუხარო და სასაცილო სურათები ისეთის დაჟინებით და სისწრაფით ასწრობენ ერთმანეთს, თითქოს ვინმე მოუთმენლად მოელის და დაგვიანების ეშინიანთო. კაცმა არ იცის რას დააკვირდეს, რა იგულისხმოს, რას ან ვის მიეკედლოს, რა ან ვინ უარ-ჰყოს, რომლის წარმოდგენას ცხოვრების თეატრისას დაესწროს, რომელი ტიპი და ხასიათი აირჩიოს თავის იდეალათ, რას ან ვის ერწმუნოს. იმდენი არეულ დარეული გრძნობა და ჭკვა იმდენი სიმხდლე და გამბედაობა, იმდენი პატიოსნება და სიყალბე ტრიალებს, იმდენი ენება და სიფრთხილე ფუსფუსობს ცხოვრების თეატრის სცენაზედ, რომ ადამიანი ვერ ახერხებს ყოველივე ეს მოინელოს თავის გონებაში, ადგილი დაუთმოს თავის გულში. ამდენი **არა** და **ჰო** ვერ ეტევა ადამიმნის სხეულში, ვერ პოულობს გზა-გასავალს, რის გამო კაცი იღლება, ნერვები იქანცებიან, შთაბეჭდილება სჩლუნგდება. ან მართლა, როგორ გასძლოს ადამიანის გულმა, როგორ შებოჭოს მისი აღტაცებითი ძაგძაგი, როგორ მოათავსოს, როგორ შეარიგოს ერთმეორესთან ამდენი განცალკევებული საგრნები, ამდენი მოწინააღმდეგე სურვილები!...

ბული სიყვარულით სცემს, გონება ნათელით იმოსება, მთელი არსება რაღაც ლხინშია, როდესაც დაუწყებ თვალ-ყურის დევნას საქვეყნოდ გამოჩენილს გლადსტონს. მისი მეცადინეობა იმედს გაძლევს კაცობრიობისადმი, მისი სიტყვები—სიმართლისადმი, მისი მოსიყვარულე და მფეთქავი გული სიმშვიდეს გარიგებს, მისი დიდი განზრახვა ნუგეშსა მეტოქესთან, გცემს, ერთის სიტყვით, იგი მთლათ გიპყრობს როგორძე—სიმაღლეზედ, სიღრმე-სიგანეზედ. ამიტომაც „ივერია“ სრულიად მართა-

ლი იყო, როცა სთქვა გლადსტონზედ: „ბედნიერია ის ერი რომელსაც ასეთი კაცი ებადება, და აგრეთვე ბედნიერია ის კაცი, რომელსაც ასეთი მსმენელები ჰყავსო.“ დიახაც რომ ბედნიერია ისეთი კაციც და ერიც, ხოლო ჩვენ გვგონია, უფრო მართალი იქნებოდა ასე რომ ეთქვა „ივერიას“: ბედნიერია ის სწავლა-განათლების მდგომარეობა, რომელშიაც გლადსტონებისთანა პირნი იზრდებიან, ის ურთი-ერთობა, ის თანხმობა საზოგადოებრივი, რომლის სიმაგრე კლდეს ეჯიბრება,— რადგან ყოველი კაცი კერძოთ და ერი საზოგადოთ არის მდგომარეობის შედეგი.

რეზონიორი

ზოშია.

ხის ქერში მიმოეფინენ შემოდგომის ბერს ფოთლები, ბუჩქნარებს ფერი ეცვალთ, დასვდებინდეს ხოფლები, ძირკვები დაცარიელდენ, მწარედ მიერუვდა ტყე-ველი და თავის სადგურ-სახურავს ან შეეფარა ყოველი. ბულბული ალარ გასძახის, მერცხალი ალარ ჭიკ-ჭიკობს, კარდა ქვე-ეისერ მოსრილი ისთან ალარ ანიფობს, სიცოცხლის ფეთქა შემდგარა ამ სოფელ-სამყაროშია და მხოლოდ, ტოტზედ შემჯდარი, ჭუკ-ჭუკობს ნაზი ზოშია.

ზოშიავ! რასა ჭუკ-ჭუკობ, რათა სარ ეგრე მწუსარე, რის ნიშანია ეგ სევდა, გულიდამ გადმომქუსარე? სიმღერამღერას არ გიგავს, გულით გენთხეევ ნაღველი, ძაგ ხმით გლოვდები თოა-ბარი, მეც ვგლოვობ შენი მნახველი. შენის მღერისგან გული სწუხს და სულს ძალ-ღონე ელევა, გრძნობები მიტუვევდებიან და შსმა სასსლში მერევა.— კიდო შესცვალე, მკვნესარო, სმას ანუმაღლე ლხენითა და გამიკურნე მე გული, დღეს შეპურობილი სენითა!

გალობს ზოშია: „ბევრი მაქვს საგლოვო, სამწუსაროო; ქვეყანა გლოვობს და მე კი როგორ-და გავისაროო: მკაცრი გრიგალი გაჭკვის, დალმუვის, დაგრგვინავსაო, ვინც იცის სადით შეჭმუსრავს ის ჩემს ცხოვრების ნავსაო!

უამბანაგოდ დავდივარ დღე მუდამ ტყე და ველშიო და სჯგნება ჩემი სიცოცხლე ამ ნაირ განსაცდელშიო, ძშობლიურ ველში მე ბუდე მტერებმა ამიმგრიესო და ან უსახლოს, უკარო ცხოვრება ამიმღვრიესო. სატრფოც წამართვეს, დამაგდეს მე-უიმისოდ ობლადო, და გულ მოკლული დავდივარ იმ შავ-დღეს ქქეთ სოფლადო,»

გალიაში ზის და ჭეიქრობს მწარედ გულ-შემოურილიო: «სადა მყავს მოტრეე საბრალო, სადა მყავს სევდის შვილიო!

მინდა ავფრინდე. გავსწიო, ვიცხოვრო იმის ასლოსო, იქნებ, რომ მისმა ყურებამ ლხენა კვლავ განმიასლოსო, მაგრამ მიშლიან მის ტრფობას და იმის მუდმივ ცქერასო,

მიშლიან მასთან გაფრენას და მისთვის ტკბილად მღერასო!»

სთქვა და მისდუმდა ფრინველი, ბუჩქს მოეფარა ზოშია, და მიაკარგა მისი ხმა ზორეს ცის სამყაროშია, და ქარმან ტიტველ—ტყე-ველში მწარედ დაიწყო კვილი, მოჭფენა სმელეთს ნაღვლიან—სევდა და გულის ტკივილი.

ცახელი

სასცენო ხელოვნება

დიკცია.

Голосъ—это невидимый актеръ, скрытый въ актерѣ, это таинственный чтецъ, скрытый въ чтецѣ, который имъ обоимъ служитъ суфлеромъ.—Легуве.—

ექტორის ხელოვნება მომეტებულად ლაბარაკობითი—ბასსობითი ხელოვნებაა. ლაბარაკსთვის საჭიროა ენა და მერე ხმა. ხმა და ენა საზოგადოთ უველასა აქვს, მაგრამ აკტიორს ეჭირვება სრულებით სხვა ნაირი ხმა, ესე იგი ისეთი, რომელიც გამოხატავდეს ყოველს გვარს გულის და სულის მოძრაობას, მაგალითად: გვიჩვენებდეს ტირილს, მრისხანებას, წუხილს, სიხარულს, დატინვას, ალერსს, სიყვარულს, მღელვარებას, ენებით სავსე ჩურჩულს, მრისხანე ქუსილს, ნარნარი მსურვალე თანაგრძნობას, ჯავრიან გრგვინვას, ერთი სიტყვით აკტიორს უნდა ჭქონდეს ხმა მუსიკალური, ჭარმონიული, ზოეზიით სავსე—მელოდიური; ასეთი ხმა იშვიათია და კიდეც ეგ არის მიზეზი, რომ ეს აკტიორში ერთს, ნამდვილის არტისტიულ ხმის ბატონს ძლივსღა შეხვდებით ხოლმე.

მაგრამ აკტიორისათვის რადი კმარა მარტო მუსიკალური ხმა. რაც გინდა იშვიათი და ჭარმონიული ხმა იუვეს, თუ კი გაკარჯიშებული და შემუშავებული არ არის, არასოდეს არ იქონიებს ჩვენზედ ჯეროვანს შთაბეჭდილებას. კარგს ხმას კარგი გაკარჯიშებაც ეჭირვება. ამ შემუშავებას და ხელოვნურს ლაბარაკს ჭქვიან დიკცია.

სატრფოც წამართვეს, დამაგდეს მე-უიმისოდ ობლადო, და გულ მოკლული დავდივარ იმ შავ-დღეს ქქეთ სოფლადო,»

გალიაში ზის და ჭეიქრობს მწარედ გულ-შემოურილიო: «სადა მყავს მოტრეე საბრალო, სადა მყავს სევდის შვილიო!

მინდა ავფრინდე. გავსწიო, ვიცხოვრო იმის ასლოსო, იქნებ, რომ მისმა ყურებამ ლხენა კვლავ განმიასლოსო, მაგრამ მიშლიან მის ტრფობას და იმის მუდმივ ცქერასო,

მიშლიან მასთან გაფრენას და მისთვის ტკბილად მღერასო!»

სთქვა და მისდუმდა ფრინველი, ბუჩქს მოეფარა ზოშია, და მიაკარგა მისი ხმა ზორეს ცის სამყაროშია, და ქარმან ტიტველ—ტყე-ველში მწარედ დაიწყო კვილი, მოჭფენა სმელეთს ნაღვლიან—სევდა და გულის ტკივილი.

ცახელი

სასცენო ხელოვნება

დიკცია.

Голосъ—это невидимый актеръ, скрытый въ актерѣ, это таинственный чтецъ, скрытый въ чтецѣ, который имъ обоимъ служитъ суфлеромъ.—Легуве.—

ექტორის ხელოვნება მომეტებულად ლაბარაკობითი—ბასსობითი ხელოვნებაა. ლაბარაკსთვის საჭიროა ენა და მერე ხმა. ხმა და ენა საზოგადოთ უველასა აქვს, მაგრამ აკტიორს ეჭირვება სრულებით სხვა ნაირი ხმა, ესე იგი ისეთი, რომელიც გამოხატავდეს ყოველს გვარს გულის და სულის მოძრაობას, მაგალითად: გვიჩვენებდეს ტირილს, მრისხანებას, წუხილს, სიხარულს, დატინვას, ალერსს, სიყვარულს, მღელვარებას, ენებით სავსე ჩურჩულს, მრისხანე ქუსილს, ნარნარი მსურვალე თანაგრძნობას, ჯავრიან გრგვინვას, ერთი სიტყვით აკტიორს უნდა ჭქონდეს ხმა მუსიკალური, ჭარმონიული, ზოეზიით სავსე—მელოდიური; ასეთი ხმა იშვიათია და კიდეც ეგ არის მიზეზი, რომ ეს აკტიორში ერთს, ნამდვილის არტისტიულ ხმის ბატონს ძლივსღა შეხვდებით ხოლმე.

მაგრამ აკტიორისათვის რადი კმარა მარტო მუსიკალური ხმა. რაც გინდა იშვიათი და ჭარმონიული ხმა იუვეს, თუ კი გაკარჯიშებული და შემუშავებული არ არის, არასოდეს არ იქონიებს ჩვენზედ ჯეროვანს შთაბეჭდილებას. კარგს ხმას კარგი გაკარჯიშებაც ეჭირვება. ამ შემუშავებას და ხელოვნურს ლაბარაკს ჭქვიან დიკცია.

დიკციას საგნათ აქვს—ხმის ტეხნიკური მხრის გაუმჯობესობა, ისე რომ—არც ერთი წინადადება, არც ერთი სიტყვა, არც ერთი ასო, არც ერთი მარცვალი შეუმჩნეველათ არ დარჩეს მაყურებლის და გამგონისათვის,—ერთი სიტყვით დიკცია ასწავლის აკტიორს დალაგებულს, გამორკვეულს და აზროვან ლაპარაკს. როგორც წერა-კითხვას ეჭირვება სწავლა და შრომა აგრეთვე სეირიანი სასცენო ლაპარაკსაც ეჭირვება დიდი დაკვირვება და შესწავლა. სიტყვა გრძლად და ლაპარაკი საზოგადოთ ყოველთვის უნდა ეთანხმებოდეს მდგომარეობას. ადამიანის მდგომარეობა, როგორც გარეგნული, აგრეთვე შინაგანი, როგორც ყველამ ვიცით, ხშირად იცვლება ხოლმე, ესე იგი, დამშვიდებული მდგომარეობიდან ადამიანი ხან აღტაცებაში შედის, ხან მღელვარებაში, ხან სისარულში და სხვა; ამის და-გვარად ხმაც ემორჩილება ადამიანის მდგომარეობას, მით უფრო, რომ ხმა ერთი უმთავრესი ადამიანის სულის ვექილთაგანია. ამისათვის ხმა მდგომარეობის-და-გვარად ხან აიწევა, ხან დაიწევა, ხან აკანკალდება, ხან დადუმდება და სხვა...

ყველა ეს და ბევრი სხვა ამისთანა აუცილებელი საჭიროებანი ნათლად გვიმტკიცებენ, რომ აკტიორს ეჭირვება დიკციის შესწავლა, რომელიც ისეთს საჭიროებას შეადგენს აკტიორისათვის, როგორც თარზედ დამკვრელისათვის სიმების მომართვა.—ჩვენ ვეცდებით ჩვენი ძალ-ღონის შესაფერად დიკციის შესწავლის ზოგიერთი საშუალებანი მოვნახოთ და იმავე დროს ამ ჩვენს წერილს მოკლე და მარტივი დიკციის თეორიის ხასიათი მივსცეთ.

დიკციის ტეხნიკურს მხარეს შეადგენენ ხმა და გამოთქმა.

ჩვენი ხმა ისეთივე მუსიკალური იარაღია, როგორც საზოგადოთ ყველა სამუსიკო იარაღები, ხოლო ჩვენი ხმა უფრო მდიდარია, უფრო მგრძნობიარია და ყველა მუსიკალურ იარაღებზედ დახელოვნებული და უმჯობესია.

ორგანო ხმისა იმით განირჩევა სხვა ჩვენი ორგანოებისაგან, რომ ხმა არას ოდეს არ დაიბადება კაცის უნებურად. ადამიანი მაშინ ლაპარაკობს, როდესაც ჰსურს ლაპარაკი; მე ამით ის მინდა ვსთქვა, რომ კაცი სმენას და ყურებას ვერ ისწავლის და ლაპარაკს კი ყოველთვის, (რა თქმა უნდა თუ კი მოიწადინებს) იმიტომ, რომ ლაპარაკი კაცის სურვილზედ და ნებაზედ არის დამოკიდებული, მაგალითად: როცა გინდა ხმას აიწევ, დასწევ, აამაღლებ—დააყრუებ, გაიცინებ, დაიყვირებ, მოკლეთ რომ ვსთქვათ, ხმა არის ისევ ის თარი ისევ ის ქნარი, რომელზედაც მცოდნეს სურვილისამებრ შეუძლიან სხვა-და-სხვა ხმები დაუკრას, სულ სხვა-და-სხვა რიგად ააჟღეროს ხოლმე.

ჩვენი ხმა იყოფება სამს ნაწილად: პირველი—დაბალი, მეორე—შუათანა და მესამე—მაღალი ხმა რომელთაც ურიცხვი განყოფილებანი აქვსთ. დიდი ცოდნა და დაკვირვება ეჭირვება აკტიორს, რომ ამ სამში ერთი რომელიმე ხმა იხმაროს. ყველაზედ კარგი და უსაჭიროესი არის შუათანა ხმა—დაბალი ხმა უფრო ძლიერია (არა სიმაღლით, არამედ მნიშვნელობით და ძალით.) მაღალი ხმა უფრო მშვენიერი და ბრწყინვალეა.

ყველა გამოჩენილ დრამატიულ არტისტებს მომეტებულად შუათანა ხმა ჰქონდათ. „შუაითანო ხმით ვერც ერთი არტისტი სახელს ვერ მოიხვეჭსო“ ამბობს გამოჩენილი საფრანგეთის არტისტი მოლლე. და მართლაც, ვერაფერი ვერ შეედრება შუათანა ხმას. ამ ხმის მქონე აკტიორს შეუძლიან ყოველ გვარი გრძნობის გამოხატვა.

დიდი სიფრთხილე ჰმართებს აკტიორს დაბალი და მაღალი ხმის ხმარებაში. უზომოდ და გაურჩეველად ხმარება ან პირველის ან მეორისა ყოველთვის შთაბეჭდილებას აფუჭებს და მავნებელიც არის და აი რა მიზეზით: ვსთქვათ აკტიორმა დაიწყო როლი მაღალის ან დაბალის ხმით—რადგან ეგ ხმები ჩვეულებრივი არ არიან მაშასადამე ძნელიცაა. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ აკტიორს მალე ეღალება ყელი, მერე თავი და რა თქმა უნდა, თუ კი ერთხელ თავი დაიღალა, მაშვინ ფიქრიც და მოსაზრებაც ძნელდება—მაგისი შედეგი ადვილი გასაგებია; თავის მოქანცვას გონების დაფანტვა მოსდევს, მაშასადამე—როლის დავიწყება და უხეირო თამაშობაც. გარდა ამისა, ამ ორის ხმის ხშირად ხმარებით მაყურებელიც იქანცება, უკეთ რომ ვსთქვათ, შთაბეჭდილება უჩლუნგდება.—

სულ სხვა არის შუათანა ხმით ლაპარაკი. აქ მაყურებელი მადლობელი რჩება და აკტიორიც კმაყოფილია, ამასთანავე არც იღალება.

აქ საჭიროდ ვხედავ ისიც ვსთქვა, რომ ბევრნი იმ აზრისანი არიან, თუ ხმა არა მაქვს, ვეცდები რომ ვიქონიოვო. პატიოსანი და კეთილი, მაგრამ მათ სამწუხაროდ უნდა გამოვტყდეთ, რომ ეგ ასე ადვილი შესაძლებელი არ არის და თითქმის ამაო ცდილობაცაა. აკტიორს თუ კარგი ხმა აღარა აქვს, სჯობს რომ სცენას თავი დაანებოს. ხმის შეძენა შეუძლებელია. საჭიროა, რომ აკტიორს ბუნებითვე ჰქონდეს სეირიანი ხმა, რომ შრომით და ვარჯიშობით უფრო გაუმჯობესოს. გამოჩენილი გენიოსი—არტისტი ედმუნდ კინი ამბობს: „ხმას ვერსად ნახავ და ვერც შეიძენ, ამას ის ამტკიცებს,

რომ ხმის დაკარგვა შეიძლება და ჰოვნა კი შეუძლებელია, ეგ მე ჩემს თავზედ გამოვცადეო". მართლაც კინს ბოლოს დროს ლოთობისაგან და ფუფში ცხოვრებისაგან ხმა სულ დაეკარგა.

ხშირად ლაპარაკის დროს აკტიორი იღლება და მით შთაბეჭდილებას აფუჭებს—ვისაც დიკცია შეუსწავლია, ის თავის დღეშიაც არ დაიღლება წარმოდგენის დროს და აი რად: დიკცია შეეხება აგრეთვე სუნთქვას და სუნთქვის უცოდინარობით კი წარმოსდგება დაღალილობა. ჩვენ ვსუნთქავთ ასე: ერთის სუნთქვით შევგვაქვს ჰაერი ფილტვებში და მეორეთი კი გამოგვაქვს ხოლმე, და თუ ეგ სუნთქვა ზომიერია, ლაპარაკისაგან დაღალვა სცენაზედ ყოვლად შეუძლებელია. ერთს გამოჩენილს არტისტს ჰკითხეს: რათ არ იღლებით, როდესაც მთაზედ ადიხართო?—„იმიტომ არ ვიღლები, რომ სუნთქვა ვიციო!" მიუგო არტისტმა. ესლა ვნახოთ სუნთქვა როგორ უნდა, რომ აკტიორი არ დაიღალოს, მაგრამ აქ სჯობია გამოჩენილი საფრანგეთის არტისტს, ტალმას დავუგდოთ ყური: „აკტიორი, რომელიც ლაპარაკის დროს იღლება, ის სახელს ვერას გზით ვერ გაითქვამს. ამ სენის ასაცილებლად საკმარისია, რომ აკტიორმა ყოველი ლაპარაკის დროს ხმოვან ასოებზედ ზომიერად ისუნთქოს, სანამ შეეჩვევა სცენისთვის შეთვისებულს—ზომიერს სუნთქვას."

ტალმას რჩევა მეტად საყურადღებოა და ადვილი ასასრულებელიც; მაგრამ ჩემის აზრით ყველა ხმოვანი ასოებზედ სრულებით საჭირო არ არის სუნთქვა. სრულიად საკმარისიც იქნება, თუ აკტიორი გაივარჯიშებს ამ ასოებზედ: ა, ე, ო, უ. ეს ოთხი ასოები ისეთი თვისებისანი არიან, რომ მაგათი გამოთქმისათვის უთუოთ პირი დიდათ უნდა გაიღოს და მაშასადამე ჰაერს თავისუფლად შეუძლიან ფილტვებში შესვლა-გამოსვლა; გარდა ამისა ამ ასოების წარმოთქმის დროს ვერც მაყურებელი შეამჩნევს, შეჰსუნთქა აკტიორმა ჰაერი თუ გამოსუნთქა. აქიდან აშკარად სჩანს, რომ აკტიორს ცოტა შრომა უნდა, რომ ერთი უბედურებათაგანი—დაღალვა აიცილოს და იმავე დროს კარგათ შეასრულოს ხოლმე თავისი როლიც. ხანდის-ხან აკტიორი პატეტიური ადგილებში თავ-დავიწყებაში შედის, ცხარდება, სჯავრობს, ყვირის, როლიც შეცდება კიდეც, მაგრამ ეს ისეთი უბედურება არ არის როგორც ისა, როდესაც აკტიორი იღალება, რადგან, როგორც წინეთ ვსთქვით, დაღალვას თამაშობის გაფუჭება მოსდევს ხოლმე. ერთი სიტყვით კანონიერი, ზომიერი სუნთქვა კარგი დიკციისათვის ისეთი საჭიროებას შეადგენს, როგორც დაბნეული, დასლართული ტყეში მოკლე ბილიკების ცოდნა.

დიდი და თითქმის უპირველესი მნიშვნელობა აქვს აკტიორისათვის აკცენტუაციას—ესე იგი კილოს და გამოთქმას. კარგი გამოთქმაზედ დამყარებულია წინადადების გაგება, ჰაზრის მიხვედრა, სიტყვების სიმახვილე და სიმშვენიერე, სისუფთვე და სიცოცხლე. როგორ უნდა მიაღწიოს აკტიორმა ასეთი გამოთქმას? აი რას გვასწავლის დეკლამაციის პროფესორი რენიე: „დაჰყევით თქვენს მგობრის წინ და დაიწყეთ სრულებით ჩუმად, უხმოთ სიტყვების მარცვლებით გამოთქმა. ეცადეთ, რომ ყოველი ასო, ყოველი მარცვალი გამოჭრით, მნიშვნელობით გამოსთქვათ—ისე რომ თქვენი ლაპარაკი ჩურჩულს მიჰგვანდეს, მაგრამ ჩურჩული გამორკვეული უნდა იყვეს. ილაპარაკეთ ასე რამდენიმე ხანი და დამერწმუნეთ, რომ ერთი, ორი თვის შემდეგ—თქვენ მშვენიერი, გარკვეული გამოთქმა გექნებათ" და მართლაც, ეს მარტივი საშუალობა ერთი საუკეთესოთაგანია. ამ უკანასკნელ დროში ასეთი საშუალობა კიდეც მიღებულია მუნჯების სასწავლებლებში, სადაც სუნთქვით და ტუჩების აწევ-დაწევით კითხულობენ სიტყვის ასოებს, სიტყვებს და მთელი აზრებსაც.—თუ კი აკტიორი ამ შრომით საგანს მიაღწევს, მაშინ მას ადვილათ შეუძლიან თავის ხელოვნება წინ წასწიოს. ამის გარდა სიტყვას ეძლევა ძალა და აზრი, ენერღია—და სხვა ყოველ გვარი მნიშვნელობაც.—კარგი გამოთქმა ხანდის-ხან უსეიროთ თამაშობას შველის. ბევრი მაგალითები ყოფილა, როდესაც დაბალ და სუსტის ხმის აკტიორს, რომელსაც ვერც შუათანა და ვერც მაღალი ტონების ატანა შეეძლება, კარგი გამოთქმის მადლობით დიდი შთაბეჭდილობა მოუხდენია მაყურებლებზედ.

ბევრჯელ აკტიორს საქმეს უფუჭებს კილო—ეგ ადვილი ასაცდენია თუ კი შრომას არ დაზარდება. საჭიროა უკეთესი მწერალთ ნაწარმოებების ხმა მაღლა კითხვა—საზოგადოთ მაღალი ლაპარაკი და ლექსების ხმა მაღლივ კითხვა დიდს სარგებლობას აძლევენ აკტიორს. თუ აკტიორს მხედველობაში აქვს ნამდვილი ხელოვნების მსახურება და ამასთან სახელის განთქმაც, მაშინ იმან როდი უნდა გაექცეს სწავლას და შრომას, ურომლისოთ არამც თუ ხელოვნების მსახურება, არამედ საშოვარის ადგილებაც კი ძნელდება.

ხმა დიდი საუნჯეა, მაგრამ დაუხელოვნებელი—გაუვარჯიშებელი ხმა ისეთივე ნაკლუვანებაა, როგორც ხმის უქონლობავე. ხშირად მოსდება, რომ აკტიორს მშვენიერი ხმა აქვს, მაგრამ ხმის ხმარება კი არ იცის: ან გაურკვეველად ლაპარაკობს, ან მეტის მეცადინეობით ხმა მაღლა ლაპარაკობს და სრულიად არევს აზრების მნიშვნელობას, ან ხმოვანი ასოები უხმო ასოებს ყლა-

ჰამენ და ამ რიგათ სიტყვა სრულებით იკარგება. ერთის მხრით, თითქოს მაღალის ხმით ლაპარაკი უნდა მოგვწონდეს, რადგან ყოველს სიტყვის გაგების საშუალობა გვაქვს. მაგრამ, თუ კარგათ დავაკვირდებით მაღალს ლაპარაკს, მაშინათვე მივხვდებით მისი ავკარგობას. საზოგადოთ მაღალი, ერთნაირი, ერთ-ზომიერ ლაპარაკი მალე მოგვწყინდება ხოლმე და ესეც რომ იყოს,—მაღალი ლაპარაკი ისეთს ხმაურობას ახდენს ყურში, რომ სმენასა და ყურადღებას გვიქანცავს და ბოლოს ეგ დაღლილობა ტანჯვად გადაგვექცევა ხოლმე. აკტიორმა უნდა ბევრჯერ გასინჯოს თავის ტონი, რათა ნამდვილს კილოს, სწორს ტონს დაადგეს — აი ერთი მაგალითი: გამოჩენილი არტისტი დავიდ გარრიკი მეფე ლირის როლს თამაშობდა და მესამე მოქმედებაში, სადაც თავის ქალს გონერილას სწყევლის, იქ პატეტიურად, ხმა მაღლა ლაპარაკობდა—საზოგადოთ ამ ადგილში ყველა აკტიორები ხმა მაღლა ლაპარაკობენ,—მაგრამ ერთხელ რეპეტიციაზედ ხმა წაუვიდა და ნება უნებლიედ იძულებულ იყო ნელა—ჩუმი, გამორკვეული ხმით ეთქვა თავის როლი. წარმოიდგინეთ რა ნაირი შთაბეჭდილობა მოახდინა თავის ამხანაგებზედ, არტისტებზედ—ყველა იქ მყოფნი ატირა—ისეთის გრძნობიერის და ნამდვილის ტონით იყო თქმული მთელი მონოლოგი. ეს მაგალითი აშკარად გვიმტკიცებს, რომ აკტიორს დიდი სიფრთხილე ჰმართებს ტონების არჩევაში—და ხანდისხან—სადაც მაღალი ხმა საჭიროდ გვგონია—დაბალი, უტყუარი ხმა უფრო მომეტებულს და ძრიელს შთაბეჭდილებას ახდენს ხოლმე.—

ზოგი და ხშირად კარგი ხმის მქონე აკტიორებს სჭირთ ერთი უბედურება—ეგ არის ბლუობა, ენა ჩლუნგობა. მე იმ ბლუებზედ არ ვამბობ, რომელნიც ერთი საათის განმავლობაში ერთს სიტყვას ვერ იტყვიან ხოლმე—ისინი ვერას ოდეს აკტიორად ვერ გახდებიან—არა, მე ვამბობ იმისთანებზედ, რომელნიც ლ. და რ ერთ-მეორეს ურევენ ხოლმე. ეგ ნაკლულევანება ადვილი შესასწორებელია, თუ კი პატარა შრომა დაიდება. აქ ისევ იმ გენიოსს არტისტს ტალმას მივმართოთ: „არის ოთხი ასო, რომელნიც ენის წვერით წარმოითქმებიან, ესენი არიან: დ. ლ. ტ. რ. თავდა-პირველათ წარმოსთქვით დ—მერე—ლ ეგ ორი ასო ადვილი წარმოსათქმელია. მერე ეგ ორი ასო მალ-მალ უნდა წარმოსთქვათ, მაგალითათ: ერთი მინუთში 20, 30 და 40 ჯერაც. შემდეგ მიუმატეთ მესამე ასო ტ და ისევ აუჩქარეთ გამოთქმას. მერე მიუმატეთ მეოთხეც რ და ნელ-ნელა დაიწყეთ, ისე რომ თითო ასოს გამოთქმა შეგეძლოთ, თუკი ვერ მოხერხდა ისევ დაიწყეთ: დე—ლე—ტე—რე—და ეცადეთ, რაც კი შესაძლებელია, აუჩქაროთ გამოთქმას, მერე რ შუაში დასვით დე—რე—ტე—ლე, მერე წინ რე—დე—ტე—ლე, ბოლოს შეაერთეთ სამი ასო—დტრ—ისე რომ გამოთქმა ბარაბანის (დოლის) დაკვრას ემსგავსებოდეს. ამის შემდეგ მოაცალეთ დ—მერე ტ დარჩება რ. სცადეთ ეს საშუალება და წარმატებას მე გპირდებით? სწორედ რომ საუცხოვო რჩევაა და ადვილი შესასრულებელიც.—თვითონ ტალმა ძალიან ბლუობდა, მაგრამ ეგ ნაკლულევნება ამ საშუალებით მალე გაისწორა. ასო ლ ცოტად აძნელებს საქმეს, მაგრამ ამასაც ბოლო მოეღება თუ კი აკტიორი მოიწადინებს: აიღეთ სიტყვები სადაც ორი, ლ—მაგალითათ ლული ლალი და მალ-მალ წარმოთქვით ხოლმე—შემდეგ აიღეთ ისეთი სიტყვები სადაც ლ და რ—არიან, მაგალითათ, რული, კრული, სრული და ისევ იმ სწრაფი გამოთქმით ეცადეთ დახელოვნდეთ. ბევრს შველის აგრეთვე სიმღერა—სადაც ლ და რ — ხშირად იმეორება ხოლმე. რ — ხელოვნური ხმარებას ჰქვიან ვიბრაცია და მართლაც იმისთანა სასიამოვნო არაფერია, როდესაც აკტიორი მართალის და სწორის ვიბრაციებით ლაპარაკობს.

ვალიკო—ია

(დასასრული იქნება)

ხელოვნური პოეზია.

ვერ მოვასწრე, მინდოდა
შენ სამ შაგურიუამ გზაზედა;—
ერთხელის გამოვტესოდი,
რაც მახვევია გულზედა.
ან ბნელი გამთენებიყო,
ან ცა დამშლიყო თავზედა.
მე ხომ არ ვიცი, სად ვზივარ,
სად ვიარები გზაზედა.

სჯობს ესეთას ყოფნასა,
ერთი რამ განჩდეს წარზედა:
ან ყოფნა, ანუ სიკვდილი—
ერთი რამ ქვეყანაზედა!

ბაჩანა.

ბელეტრისტიკა

ნ ი ს ს ა

(მოთხრობა დელპისა)

გასტონმა მოსწია ციგარი და დაიწყო:

— თუ გსურს ყური დამიგდე, ისტორია თუმც გრძელი არ არის, მაგრამ წარმოგიდგენს სრულს დრამმას. ჯერ კიდევ ეხლაც, როცა მამაგონდება ჟრუანტელი გამივლის ტანში. შენ ხომ გახსოვს ამ ორის წლის წინათ სამინისტრომ გამგზავნა სპარსეთში. მან მომანდო—გამეცნო და ამეწერა ირაქ-ადჯემის პროვინცია. მე დავბინავდი ისპაჰანში და სამი თვის განმავლობაში შევასრულე ჩემდამი მონდობილობა. მაშინ, რომ დავბრუნებულვიყავ, სამინისტრო ცუდის თვალით შემხედავდა და არ ჩამთვლიდა საქმის კაცად. მე საშინლათ ვიყავ მოწყენილი, როდესაც, ჩემდა ბედათ, გამოცვალეს გუბერნატორი. შაჰიმ მის მაგივრათ გამოგზავნა თავის ძმის-წული მულქამ-ყაინი.

—ის, რომელიც მოგზაურობდა საფრანგეთში?

—დიახ, მაშ შენ უკვე გცოდნია ერთი გმირი ჩემის მოთხრობისა მაჰმედ-ალი. ის იყო პრინცი-გუბერნატორის მხლებელი-ღენერლის ჩინისა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, როგორც სპარსეთში ეძახიან სატრაპი.

—მახსოვს ახალ-გაზდა კაცი, ასე ოცდა ათის წლისა. ის ხანდის-ხან ვახშამს ჩვენთან მიირთმევდა.

— შეგიძლიან წარმოიდგინო ჩემი სიხარული, როცა ის ვნახე. ალმოსავლეთის ხალხი, რაც ნახევრათ გაფრანგდებიან რაღაც მიმზიდველობის ძალას იძენენ. ერთი კვირის შემდეგ ჩვენ ვიყავით განუშორებელნი.

— ჰო ეს ყველა კარგი, ჩემო კეთილო, მაგრამ დრამა?

—დაიცა, მე ეხლა ვიწყებ. ერთხელ მე დავსეირნობდი ქალაქის ქუჩებში. მე ალტაცებაში ვიყავი მოსული მის სამოთხის მზგავსს სანახაობით. წარმოიდგინე უზარმაზარი ქანდრები და ჩინარები, რომლის წვერები გარდახვეულან ერთმანეთს და წარმოადგენს საუცხოვო კამარედს: სადაც გაიხედამ ყოველგან მოჩანჩქარებენ ანკარა რუები...

— შენ ისევ აწერას, შეუდექი ჩემო საყვარელო, გახსოვდეს რომ სამინისტროსთვის არ მუშაობ, შენ დამპირდი გეთქვა დრამატიული ისტორია. გთხოვ ილაპარაკო და წვრილმან აწერას თავი დაანებო.

გასტონმა ამოიოხრა.

მიუახლოვდი მე თითქმის კიოსკს, რომელსაც ქვიან სიუთუქ, რომლის მოსახვევზე დავინახე ქალი ტახტრევანდზე. საზოგადოთ სპარსელი ქალები ქუჩებში მოძრავ ტომრებს გვანან: თავიდამ ფეხამდის არიან გახვეული ჩადრებში და პირის სახე სრულებით არ მოუჩანთ. მაგრამ ის ქალი, რომელიც მე შემხვდა არ ჰფარავდა ჩადრით თავის გრაციით სავსე ტანს. ეს იყო მეტად მშვენიერი ტანიდი ქალი, რომლის მზგავსი მე ჯერ არ მინახამს. მე შევნიშნე ორი დიდრონი ლამაზი თვალები, რომელნიც ცეცხლივით ანათებდენ. ჩემი ცხენი მიდიოდა ნელნელა და განუშორებლივ მივზდევდიტა ხტრევანდს. მე მომეჩვენა, რომ უცნობმა ორჯერ გამოიხედა ჩემსკენ. მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, რადგანაც კარგათ ვიცოდი, რომ ალმოსავლეთში ყოველგვარ რომანტიული თავ-გარდასავალი შეუძლებელია.

მე თითქმის დამავიწყდა პირველი შეხვედრა, როდესაც შემდგომ ორის დღისა ისევ დავინახე ეს ტახტრევანდი. ახლა კი მარტო არ ვიყავი ჩემთან იყო მაჰმედ-ალი. ერთის შეხედვით ვიცანი მე ის ქალი, რომელს თვალებიდამ ალი გამოდიოდა. მე შევხედე სარტაჰას, მაგრამ იმან მიჩვენა თავი, ვითომც არაფერი შეუნიშნავსო. ჩვენ მივდიოდით ასე თითქმის ათს მინუთს, ამ დროს ტახტრავანდმა გადუხვია დჯუფლის ხიდს. ეს ხიდი ერთი უმშვენიერესთაგანია მთელს დედამიწის ზურგზე: ის შედგება ოცდა ცამეტის თაღებიდამ, რომელსაც უხვად რწყავს მეტად ანჩხლი მდინარე ზეიდდე-გრუბი. ეს ადგილი საუკეთესოა მთელს ქალაქში. აქ ყოველ სალამობით გამოლაგდება მთელი ქალაქი, რათა დასტკბენ მის მაგრილობელ ჰაერით. ტახტრევანდს რო მივზდევდი ცოტა დავფიქრდი: ვაი თუ ჩემის ცხადის მოქმედებით რამე უსიამოვნება მივაყენო უცნობს მეთქი, მაგრამ როცა კარგათ

დავაცქერდი, შევნიშნე, რომ ჩემი საქციელი სრულებითარ სწყენოდა. ამ ფიქრების დროს უცნობმა თავი ამოყო და დააგდო ქვაფენილზე ცხვირსახოცი. Cხვირ-სახოცი მე მაშინვე ავიღე.

— სატრაპი არას ამბობდა?

— Იმ წუთში არაფერს. მთელი ის დრო, რაც ჩვენ სეირნობაში ვიყავით, იგი გაჩუმებული იყო და შესამჩნევად იკვნეტდა ულვაშებს. როცა ჩვენ მივედით სასახლესთან მან მთხოვა შევსულ-ვიყავ მასთან. როცა ჩვენ მარტოდ დავრჩით კაბინეტში მან მითხრა:

— მე თქვენ არ მოგეცით შენიშვნა მაშინვე, ახლა-კი მიიღეთ ჩემი რჩევა: მის მაგივრათ რომ გულთან ახლოთ შეინახოთ ეს ცხვირ-სახოცი, როგორც ძვირფასი ნივთი, შეაგდეთ ცეცხლში.

— Თქვენ გსურსთ ესა?

— მე მინდა, რომ თქვენ ან არ მოგკლან და ან არ ჩაგაგდონ ზეიდ-დე-გრუბში. მე წარმოვადგენ ამ ქალაქში პოლიციის უფროსს და პასუხი უნდა ვაგო საფრანგეთის საელჩოში.

— მაგრამ....

— მეტი არც ერთი სიტყვა. თქვენ ყველა პარიჟელები საკვირველი ხალხი ხართ. თქვენ ფიქრობთ, რომ კაპუცინების ბულვარში ხართ: ჩემო ძვირფასო, ნუ დაივიწყებთ, აღმოსავლეთში ხართ. ქმრები აქ ალარ ხუმრობენ. პარიჟში ეს ისე გაივლის. Თქვენი უცნობი ჩემთვის არ არის უცნობი. მას ეძახიან ნისსას.

— ნისსა!

—Თუ ამ სახელს ალტაცებაში მოჰყევხარ, მისი ქმარი სრულებით არ არის ისეთი კაცი რომ მისი ნახვით და გაცნობით აღტაცებაში მოხვიდეთ, ის არის მეტად მდიდარი ვაჭარი, შესანიშნავი თავის მძვინვარებით და ამაყობით. მისი დედა ინგლისელი ქალი იყო, მაგრამ არაფერი გავლენა არ ჰქონია მაზე. მას მტკიცეთ აქვს დაცული აღმოსავლეთის ზნე-ჩვეულობა. ის თქვენ მოგკლავს, როგორც ძაღლს.

— რა ჰქვიან ამ ისპაჰანის ნადირს?

— Ასთულლა. მე არ მსურს, რომ მას გაეცნოთ.

— Იცით თქვენა. სად სცხოვრობს ისა?

— როგორ არა, ის სცხოვრობს იმ დიდ სახლებში, რომელიც დგას წყლის პირათ. ხიდის ყურთან.

— ნისსა!—ნეტა რას ლაპარაკობენ მაზე?

— Oჰ პარიჟელო! ჩვენში ქალებზე ალარ ლაპარაკობენ. ქმრები ჩვენში სრული დესპოტები არიან თავიანთ ცოლებისათვის. Aრც ერთ ქმრის სიტყვაზე და სურვილზე ცოლებს წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიათ. ვაი იმ ქალს, რომელზედაც ქმარმა ეჭვი შეიტანა! ჩასვამენ ტომარაში თავს მაგრა შეუკრავენ და გადისვრიან მდინარეში.

— Oხ ღმერთო: რა ველურებაა?

— Aხლა ჩვენ ცოტათი გავნათლდით. მითხრა ცივათ სარტაპმა. Wინეთ ქალთან ტომარაში სვამდენ ცოცხალ კატას, რომელიც წყლის შიშით ამოსვლას დააპირებდა, და რომ ვერ პოულობდა ადგილს საშინლათ უფხაჭნიდა ცხვირ-პირს; ახლა ამას მაინც არ სჩადიან. Aსე ჩქარა ვრცელდება ევროპიელების გავლენა.

Aმ ლაპარაკმა ძალიან დამაფიქრა. Aმ დღეს ჩვენ ერთათ ვისადილეთ. Nასადილევს, როგორც ჩვეულებად არის დიდ-კაცებში, მოვისმინეთ მუზიკა. შემდეგ გამოვეთხოვე მასპინძელს და დაფიქრებული წაველი სახლში. Gზაზე ჩემს თვალ-წინ ყოველ წამს მეხატებოდა ის ახალ-გაზდა ქალი რომელმაც ტახტრევანდიდამ გადმოიწია და გადმოაგდო ცხვირსახოცი. ჩემს ყურებში გაისმოდა რაღაც მომჯადოებელი სახელი ნისსა, ნისსა! მთელს ღამეს არ დამიძინია, ისე ამერია ჭკვა-გონება.

გ. ხოშტარია.

(შემდეგი იქნება.)

ხალხური პოეზია

I ცას მოწმენდილსა დავესწარ—
ვარსკვლავი ვნახე მრავალი.
ბატონმა ციციშვილს მიმცა,
ღმერთო, შენ მიეც ზარალი!

II ბარელმა უთხა მთიულსა:
„გიმახდით მამლის ყიულსა,
თათარი შემოგვესწვია,
მარტვა ვებრძოდით წყეულსა!“

—გავიგეთ თქვენი ეიეილი:
ქვე გავექანეთ სვეულსა,
გადაუჭერით ეელები
თათრს გაგცეულს-ძლეულსა!

III შენ გენაცვალე, ღმერთო,
ჩვენი გამოსასვისთვისო!
ასლო-ასლო დაგვასასლე:
ერთმანეთის ნასვისთვისო.

IV ჭარალო, ვარდის უბანო!
ჯერ სარო, მერე გუთანო.

შეკრებილი ქართლში სოსიკოსაგან.

ხალხური გამოცანები.

ა. ძირი მიწას,
შუა-საბძელს,
თავი შენს მკვდარს და ცოცხალსა.

ბ. აკრაკნილი დაკრაკნილი—
კერიასზედ დაკრა კბილი.

გ. უცულოთ და უნაჯასოთ
სასლი მოსარატებული;
შიგ ჯის უქუდო ვაჟ-კაცი,
ულვაშ გაწკიპინებული.

დ. ერთი რამა სულიერი
ნათლით იღებავს სელსაო,
მისი ნათლის სელ-ნაღები
სულ ააშენებს თემსაო.

ე. ურასუნებს-უწკაპუნებს,
მიდის-მოდის-იქავეა.

ვ. თავი დაღმა,
ბოლო აღმა,
ფრთები ჭქონდა
აღმა-დაღმა.

ზემო-იმერეთში შეკრ. სოსიკოსაგან.

ნარევი

„კითხვა და პასუხები“

ამ განყოფილებას საგანად აქვს ყველა ჩვენი გაზეთის სელის მომწერლების ასლოდ გაცნობა. — ამ ასლოდ გაცნობას, თქმა არ უნდა, რომ დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც ყველა ჩვენი გაზეთის სელის მომწერლებისათვის, აგრეთვე ყველა ჩვენი მკითხველებისათვის.

ყველას უნდა მოესენებოდეს, რომ ურთი-ერთ შორის მიწერ-მოწერა, შესედულობის და აზრების გაზიარება ერთმანეთში, ასლოებს მკითხველებს,—ამისთვის ჩვენს გაზეთში უწილადეთ ადგილი სადაც, ყველა ჩვენი გაზეთის სელის მომწერთაგანს და მკითხველთაგანს შეუძლიანთ და სრული უფლებაც ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სოდმე. ეგ მონაწილეობა გამოისატება იმით, რომ ყველას, ვინც კი მოისურვებს, თავისუფლად შეუძლიან მისცეს კითხვა თავის თანასელისმომწერლებს და მკითხველებს საყურადღებო საგნის შესახებ. ორიოდე სიტყვა კიდევ. კითხვა-არის და კითხვა. ზოგი კითხვა, რომელიც იქნება მეტად საყურადღებო იყვეს ერთისათვის, მეორისათვის შესაძლებელია სრულებით არ იყვეს საინტერესო, და რა კი ერთსელ კითხვა ინტერესს მოკლებული იქნება, რა თქმა უნდა, ვერავის ყურადღებას ვერ დაიმსახურებს და პასუხსაც ვერ გამოიწვევს; ამიტომაც ყოველს პირს, რომელსაც ჭსურს კითხვის მიცემა მკითხველებისათვის ჩვენი გაზეთის საშუალებით ყოველად უწინარეს მსედველობაში აუცილებლად ის უნდა ჭქონდეს, რომ კითხვა და პასუხი სწავლა-განათლებისა ისტორიისა და უმეტესად ტეატრისა შესახებ იყვეს სოდო მოკლე და მარტივი. ამით ჩვენ ის გვინდა გსთქვათ, რომ ყოველ კითხვის მიმცემს სასეში უნდა ჭქონდეს საზოგადოება გაზეთის მკითხველთა, რომლის წევრნი არც სქესობით, არც ხნით, არც შესედულობით, არც განათლება—განვითარებით, არც ხასიათით და მიდრეკილებით არ ჭგვანან ერთმანეთს—და მიმსგავსება შეუძლებელიც არის. ამაში, ვგონებთ, ყველანი დაგვეთანხმებიან. მაშასადამე ყოველი კითხვა უნდა ერთნაირად ინტერესს უცხოვლებდეს ყველას, ზედმოხსენებული განსხვავებათა გაურჩევლად. მოვიყვანთ მაგალითს: ჩვენს გაზეთსა ჭყავს მკითხველები, ყოველი მკითხველი ცოტად თუ ბევრათ თვალ ყურს ადევნებს „თეატრს,“ ამის-და-გვარად ყოველი შენიშვნა, ყოველ გვარი მსჯელობა ჩვენი

გაზეთის მეტ-ნაკლებობაზედ მკითხველებისათვის საინტერესოა, მაშასადამე, ყოველ გვარი ბაასი ამ საგანზედ შესაძლებელია, — კითხვა იქნება იგი თუ შენიშვნა, ქება თუ ძაგება. საქმე მხოლოდ ის არის, რომ კითხვამ და საგანმა ინტერესი გააცხოველოს, ბაასი გამოიწვიოს თვითონ მკითხველთა შორის, და თუ ეს ასე მოხდება, მაშინ ჩვენ უშიშრად შეგვიძლიან ჩვენი სურვილი გაზეთის გაუმჯობესობად ჩავთვალოთ და უმეტესი ხელ-მომწერნი და წამკითხავნი ბოლოს მოვიზიდოთ ვისურვებთ, რომ ჩვენი განზრახვა მართლა განზრახვად არ დარჩეს. —

მოხევის სიმღერები.

—

II.

რასაცა მხედავთ ესა ვარ,
ყოველთვის ერთი ფერისა;
და ერთად ერთი სიმღერა
ვიცი და იმას ვმღერი.

×

ვერ მოშლის ცისა ღრუბელი
ჭაერში მოძრაობასა:
შიგ მზისა შუქი გიჟმაჟად
ჩარევას, ბანაობასა.

×

ვერ მოშლის ტბილი ნიავი
წყნარად და ნაზად ჭქროლასა;
წყალნი მთიდ ჩამომქუხავნი,
მედგრად ზვირთების სროლასა.

×

ვერ მოშლის ჯიხვი, ხარ-ლაღი,
ქორებრივ მთიდგან ცქერასა,
ჩადგომას საგრილობელად,
შუბლის ქარისკენ შვერასა.

×

ვერ მოშლის შავარდენიცა
ნადირობ მსხვერპლის ზვერასა,
და შურთხი, ნაზი ფრინველი,
თავისებურად მღერასა.

×

მათ შორის ნაწრთობ, ნაგალი,
მთიელი კაცის ბუნება,
ვერ მოშლის თავისს ცხოვრებას,
ვერ შეაცვლება გუნება!..

×

ვერც მოშლის თოფის ჩახმახსა,
ვერც მის შვილდს მოედუნება,
თუნდ თითონ ზეცამ დასჭექოს,
ოდნავ არ მოიღუნება!

ალ. მოჩხუბარიძე.

კვირიდან კვირამდე

✦✦ ამ წლის შემოდგომაზედ, პეტერბურღში გაიხსნება ტეხნიკური სასწავლებელი საფოსტო და სატელეგრაფო განყობილებისა. ამ სასწავლებელში მიიღებენ იმათ, რომელთიც შესრულებული ექნებათ რომელიმე საშუალო სასწავლებელთაგანი (გიმნაზიები, რეალური სასწავლებელი და სხვა) ხოლო მატემატიკიდგან და ფიზიკიდგან ეგზამნიები ხელახლად უნდა დაიჭირონ იმ კურსით რა კურსიც არის დანიშნული ყველა გიმნაზიებისთვის.

ახალს სასასწავლებელს საგნათ აქვს ტეხნიკური მომზადება ყმაწვილ კაცთა, რომელთაც შემდეგი ადგილი მიეცემათ ფოსტის და ტელეგრაფის გამგეობაში.

სასწავლებელს სამ წლიური კურსი იქნება კარგათ შემსრულებლებს ორი წლის შემდეგ, სახელათ მიეცემათ ტელეგრაფის ინჟინერი, თუ კი წარმოადგენენ მოწმობას ტეხნიკური საგნების კარგათ შესწავლისას.

მოსწავლეთ სწავლისათვის ფულს არ გამოართმევენ. ყოველი მოსწავლეთაგანი (30 კაცი იქნებიან თითო კურსსზე) მიიღებს წელიწადში სარჩოქრათ 25 მანეთს; ისინი კი, რომელნიც უკვე ყოფილან ტელეგრაფის სამსახურში და რომელთაც ჰსურთ ამ სასწავლებელში შესვლა (რასაკვრელია თუ ნება და უფლება აქვთ ამაზე) მიიღებენ იმ ჯამაგირს, რომელსაც ადრე იღებდნენ.

ამ სასწავლებელს ექმნება მეტად მოხერხებული სადგომი ახალ—ისაკიევის ქუჩაზედ., ს. № 18.

✦✦ ქართული დრამატიული დასი ვასილ ალექსის ძე აბაშიძის გამგეობის ქვეშ კიდეც გავიდა თბილისიდან. პირველი წარმოდგენა გაუმართავთ გორში. ხალხი ბლომად დასწრებია წარმოდგენას. აი სხვათა შორის ვისგან შესდგება დასი. მ. მ. საფაროვი—აბაშიძისა, ვ. მ. მელიქოვისა, კნ. ქეთევან ანდრონიკოვისა, ვასილ აბაშიძე, ალ. მოხევე. დ. აწყურელი, სუფლიორთ და დეკორატორი.—დასის რეპერტუარი შესდგება შემდეგი პიესებიდგან: ცხოვრების ოანამოგზაური დრამა. ეხლანდელი სიყვარული კომედია, ხათაბალა კომედია, სადავო მფლობელობა კომედია, პარიელი ბიჭი კომედია. და ვოდევილები: ბაიყუში, გულმა იგრძნო, დატრიალდა ფარა, სუსტი მხარე, რეგვენი საქმეს გააფუჭებს ფათერაკს დააბრალებს. წარმოდგენას გამართამენ შემდეგ ქალაქებში. გორში 1, ცხინვალში 1, ქუთაისში 3, ფოთში 2, ბათუმში 2, ოზურგეთში 2, ზუგდიდში 1. სურამში 1, ბორჯომში 1, ახალციხეში 2 და აბასთუმანში 2—ივლისის დასაწყის დასი უკან დაბრუნდება და კახეთისკენ გაემგზავრება.

ამ ტოტა სანში გამოჩენილი მომღერალს ბარიტონს ზანარდინის თავი მოუკლავს სწორედ წარმოდგენის დროს. ბიზეზი არვინ იცის; არ იციან აგრეთვე რათი მოუკლავს თავი.

გამოჩნდეს ედიტონს, რომელმაც თავისი სანგრძლივი სიტოტსლე, ელექტრონის გამოკვლევას შესწირა და რომელმაც ბევრი რამ გამოუშკარავა ქვეყნიერებას—ამ ტოტას სანში კიდევ გამოიგონა ერთი ფრიად საინტერესო წერილების გაგზავნის საშვალობა, ჯერჯერობით არ აცხადებს თავისი ბღანს, სოდო ის კი იციან, რომ ედისონის ბრიბორით უტელეგრამოთ და უფოსტოთაც შეიძლება წიგნების გზავნა ერთი ქალაქიდან მეორეში.

---

16 ამ თვის სამსედრო სამკვარომ გასინიდა ოთხებ ლაღვაშვილის საქმე, შესახებ რექტორ ჩუდეცის მკვლელობისა. დილა ადრიანად სამკვროს წინა აუარებელი ხალხი მოგროვდა. სწორედ საღამოს თერთმეტის ნახევარს, სამსკვარომ შემდეგი გასინაბა გამოცხადა: გაგზავნოს ლაღიევი 20 წლით კატორღაში.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წერილი რედაქტორთან

(სათავად აზნაურო ბანკების გამო)

ბატონო ოედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატიცემული გაზეთში, საგანი, რომელსაც მე მინდა შეეეხო ყველასათვის საინტერესოა, ამიტომაც იმედი მაქვს, რომ უარს არ მეტყვით.—

ბაზეთ „ივერიის“ № 110-ში იყო დაბეჭდილი ბ. აკაკი წერეთლის წერილი, რომლითაც ამტკიცებს ჯერეთ უდროობასა სათავად-აზნაურო ბანკების დაფუძნებისასა საქართველოში და მერე მისს უკულმართად წარმოებახ.

უდროობის საბუთად მოჰყავს თავად-აზნაურთა ორი თვისება. ა, ფულის უსარგებლოდ გაფლანგვა, გინდ ეს ფული ვალადაც იყოს ნაშოვნი, და ბ, საქმის დაუდეერობა, უზრუნველობა, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს ზრუნვა შრომას ითხოვს საქმის ჭახრაკების გასაცნობლად,—დაუდეერობა ხელის მომმართაეი ზოგიერთა, უკულმართი მოღვაწეებისა.

ჩემის აზრით, ამის პასუხად უფრო სამართლიანი იქნებოდა და უფრო საქმის აწინდელი გარემოების შესაფერი შემდეგი სიტყვები: „აქა-იქა გადაცდენა დანიშნული წრიდგან, როგორც მირზოევის შენობათა გარდამეტებით დაფასება და ზოგიერთი სიტყვის მიუღებლობა კრებისაგან, ვერ დაამტკიცებს ბანკების უვარგისობას, რადგან არაფრისა და არა რა მოძრაობა არა სრულდება ბუნებაში მცირეოდენ გადუცდენელად.

რაკი ბანკები დაფუძნებულია ასე, თუ ისე, ახლა დრო გამოაჩენს მოსარჩლე-მოწინააღმდეგეთ სიმართლე-სიმტყუნეს,—დრო, ყოველი საქმის ხან დამაგვირგვინებელი, ხან დამმიწებელი; ხოლო ეს დრო, თავის მხრივ მოცდა-მოთმინებას ითხოვს. ამ შემთხვევაში ჩვენი ვალია მხოლოდ შეძლების და-გვარად დავეხმაროთ მათს კეთილ დღეობას.

მაგრამ ბ. „ივერიის“ რედაქტორს ოთხი მოწინავე სტატია №№ 120, 121, 122 და 123,—შეუწირავს ამისა დარღვევისა და წინააღმდეგი ჰაზრის დამტკიცებისათვის; მხოლოდ ვერც არა დასარღვევი დაურღვევია და ვერცარა დასამტკიცებელი დაუმტკიცებია.

ეს გარემოება უფრო შესანიშნავი და საპასუხო იმიტომ არის, რომ ბ. რედაქტორი იგივე

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველია მისი დაარსებიდგანვე. „Ივერიის“ რედაქტორის დასკვნა უფრო მისგან მოყვანილს მაგალითში გამოიხატება და ამისთვის წარმოვუდგენთ მკითხველებს ამ მაგალითს და მისს განხილვას.

შვიდ წლის ომის შემდეგ პრუსიის მიწათმფლობელნი ჩვენზედ უარესს მგომარეობაში ყოფილან მით, რომ ომიანობის დროს სახლები და საოჯახო შენობანი გადასწვიათ, პირუტყვი საქონელი უჭმელობისაგან დახოციათ, ესე იგი, ჯარებს მოუწმენდიათ ხოლმე მინდვრის ნათეს-უთესი მოსავალი და მამულის მეპატრონენი მოჰკლებიან ყოველ წლიურ სარჩოსა და სხვა საცხოვრებელსაცა. Თუმცა ომიანობის დროს მრავალი ფული უშოვნიათ, მაგრამ ჩვენებურ ბედოვლათად გაუფლანგავთ და შემდეგ ხაზინას რომ მათთვის ბანკები გაუხსნია, აქედგან აღებული ვალით მოუბრუნებიათ თავისი ცხოვრება.

Ჯერ ეს აბნელებს საქმეს, რომ მტრისაგან აკლებული თავის-თავისაგან აკლებულს შეედარება; მაგრამ გავსინჯოთ მაგალითი სხვებრ.

რადგან მამულის მეპატრონეებს პირადი სამსახურის მეტი არა შეუძლიანთ რა ომიანობის დროს, ამისთვის ფულის შოვნა შეეძლოთ მათ მხოლოდ ხაზინიდგან, მაგრამ ამისთანა აკლებულს ქვეყანაში ან ხაზინას რა ჰქონდა იმდენი, ან ბედოვლათი მემამულეები რას მოანარჩუნებდნენ თავისს დღიურს საჭიროებას, რომელიც მტერთაგან გარს შემორტყმულ ქვეყანაში და მისს დროს უგზობის გამო ერთი ორმოცად უნდა გაძვირებულიყო. მაგრამ დავიჯეროთ, რომ ბევრი ფული უშოვოთ, დავიჯეროთ ისიცა, რომ ამ ფულით ალარც საქონელი იყიდეს, ალარც სახლები და საოჯახო შენობები გაიახლეს და ალარც თესლი იყიდეს თავისი მამულის გასანაყოფიერებლად, დავიჯეროთ ისიცა, რომ შვიდის წლსს განმავლობაში ეს მრავალი ფულიც უსარგებლოდ გაფლანგეს და ამისმა მნახველმა მთავრობამ მაინც კიდევ ასე ისწრაფა ბანკების გახსნა; დავიჯეროთ ისიცა, რომ ამ ბანკებიდგან აღებულმა ვალმა მოაბრუნა პრუსიის მემამულეთა დაცემული ცხოვრება და ფეხზედ წამოაყენა ცალ-ცალკე ყოველი მათგანი—დავიჯეროთ, მაგრამ ერთად შესათანახმებლად და საერთო დასკვნის გამოსაყვანად, საჭიროა აიხსნას შემდეგი კითხვები: ა, პრუსსიის მემამულეთაგან ბევრი ფულების შოვნა იმ დროსვე და იმავე მიზეზით, რომელთაც იგინი მთელი საცხოვრებელიდგან დასცალეს, შეცდომა ხომ არ არის და ცნობების ერთმანეთში შერევნა: ამისთანა დრო და გარემოება უფრო ჩარჩებსა და ვაჭრებს უმართავს ხოლმე ხელსა; თუ ეს აღმოჩნდება, მაშინ ცხადია, რომ თორმეტის წლის უკიდურესს მდგომარეობაში ყოფა ფულის ყადრს ასწევლიდა, და ჩვენ არაფრით გვეგვანებოდნენ, რადგან მაგგვარი ერთწლობითაც არ გადაგვხედია—რა, არამც თუ დიდხნობით. ბ. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ხომ არ შეიძლება ვიფაქროთ, რომ პრუსსიელი მამულის პატრონები ომიანობაში ნაშოვნ ფულს ჩვენებური ანდაზის ძალით მოექცნენ; ქარის მოტანილი ქარსვე გაატანეს, და რა რომ ოფლით საზღვევი ფული იშოვნეს, ეს ფული მამულის გაუმჯობესობას მოახმარეს; მით მამული მომცემლობაზედ გაახალისეს; მამულის კარგმა გამომცემლობამ თვითონ მემამულეთ მხნეობა წაახალისა და ასე ურთიერთის წახალისებით საქმე მათი კეთილად წარიმართა? ამ შემთხვევაშიაც არ ვემსგავსებით პრუსსიელს მებატონეებს, რადგან ბევრი ოფლით საზღვევი ფული გავატანეთ ქარსა. გ. ამ ორ მიზეზთაგან რა კი არც ერთი არ გამართლდება, მაშინ დაგვრჩენია-ლა ვიფიქროთ, რომ თვითონ ბანკის ვალს ჰქონია თვისება, რომლითაც ზღაპრულ ფასკუნჯსავით შეგვისვამს ფრთებზედ და გონება-სხეულ დაუღალავად მიგვიყვანს კეთილს ცხოვრებაში. თუ პირველი ორი დასკვნა უარ-ვჰყავით, ამ მესამის უარ-ყოფა მაინც აღარ შეიძლება, თორემ ავტორიტეტად მოყვანილი მეცნიერისადმი ნდობა შეირყევა; ხოლო რაკი ამ ჰაზრს მკვიდრად დავადგებით, მაშინ სტყუიან ყველა იგინი ვინც ბანკების დაფუძნებას უდროოდ უწოდდა, ან უწოდს.

პრუსიის ცხოვრებიდგან მოყვანილს მაგალითს და აგრეთვე ბ. Აკაკი წერეთლის წერილს მეორე მხარეცა აქვს გასასინჯი—შესახებ ბანკების მმართველობისა და ზედამხედველობისა დამფუძნებელთაგან. შეიძლება ვალად აღებული ფული მამულს მოახმარონ სანაყოფიეროდ და ამით ბანკი სასარგებლო იყოს, მაგრამ უზრუნველობისა და დაუდევნელობის გამო ფრთხილი და ჯეროვანი ზედამხედველობა არ იქონიონ, როგორც საზოგადო საქმეზედ, და ჩვენს ბანკებსაც თავ-თავისი რიკოვი (Рыковъ) გაუჩნდეს. მაინც ისეა, რომ როდესაც ზედამხედველობა ფხიზელი და სასტიკად პირ-უთნებელი არ არის, მაშინ ძალიან ადვილად იჩენენ

თავს რიკოვის (Рыковъ) მიმგვანი მოღვაწეები. მაგრამ ამ მხარეს „Ивеpиіи“ რედაქტორი არ არ-ჩევს და ამისთვის მეც გვერდზედ ჩაუელი დრომ-დის და ეგება ბოლოს მოვუბრუნდე.

მაინც და მაინც პრუსიის ცხოვრებიდგან მო-ყვანილი მაგალითი ამ საბაასო საგნის განსამარ-ტებლად მიემგზავრება იმას რომ ყურის მოსაფხა-ნად კისერზედ გადიწვდინო ხელი, ან კიდეე იმას, რომ გენერალმა ჰკითხა იუნკერს ცაში რავდენი ვარსკვლავიაო და მიიღო პასუხად „იმდენი, რავ-დენიც ჩემს სქლად მოსილს თავზედ ბეწვიაო“ და თან დიდი ვედრება რომ ბ. გენერალს შეემოწმე-ბინა ამ ჩვენების ჭეშმარიტება დათვლით თავზე ბეწვებისა და ცაში ვარსკვლავებისა, თორემ შინ რომ მაგალითები გვაქვს ჩვენის თვალით ნახული, ჩვენგან გაზომილ-აწონილი, და მათგან გამოწვე-ულის ფიქრებით განსჯილი, რად გვინდა გარედ-გან მოტანილი მაგალითები თუ ჭეშმარიტებით საქმის ახსნას ვებრძვით და ვსცდილობთ ნათელში გამოვიტანოთ იგი საყოველთაოდ დასანახად, გასა-სინჯად, და არა ბნელში შევიტანოთ, სადაც წყვდიადის მფარველობით მაცთურები შაესა თეთ-რად აჩვენებენ და თეთრსა შავად.

აი, შინაური მაგალითები რას გვიმტკიცებენ შესახებ გასარჩევი საგნისა: ა, პრიკაზის გამონა-ცემი ფული, რომ უბრალოდ და უნაყოფოდ დაი-ხარჯა, ეს ყველამ ვიცით, და, თუ სწორედ ვიტ-ყვით, არც ჰქონდა მას ის დანიშნულება, რომ მა-მული გაეუმჯობესებინა. ვინც კნიაზ ვორონცოვთან დაახლოებული იყო, იმას სჭირდებოდა ფული მისი ცხოვრების მისაბაძავად, და დანაშთენებიც ამ პი-რველი მიმბაძავების მეორე, მესამე და მეოთხე რიგის მიმბაძავებად შეიქმნენ ცხოვრების ცვლაში. (ბ) ამის შემდეგ მიიღეს ყმების სამაგიერო ფული და, აბა თუ ორასი თუმანი მაინც შეიტანა ვინმემ პრიკაზში თავნის ვალის შესამცირებლად, თუმცა რაოდენად ვის მეტი ემართა პრიკაზის ვალი, იმო-დენად მეტი მიიღო ყმების სამაგიერო ფული; (გ) რა-კი ყმების სამაგიერო ფულიც ქარს გაატანეს, ველარ შეიძლეს იმ ასსზედ ექვსის ძლევა, რომ-ელიც წლიურს სამატსა და თავნის სახდელს შეად-გენს და პრიკაზმაც მოუთმინა თორმეტ—თხუთ-მეტ წლამდე; (დ) ამ მოთმინების შემდეგ იმპერა-ტორმა ინება ამ ვალის ნახევრის პატივება და მეო-რე ნაევრისაც განაწილება 35 წლობით, მაგრამ უზომო შეღავთმაც ვერ შეატანინა ჩვენს თავად-აზნაურებს წლიური საძლევი. ამასთან ესეც უნდა ითქვას, რომ ამ ხანებში ქართველებს არა სწვე-ვიათ არაფერი უბედურება მამულის შემოსავლის დასამცირებელი. (ე) წარმოიდგინეთ ისა რომელ თა-ვად-აზნაურთაგანმა როგორ მოიხმარა თავის ბანკებ-დკან ვალად აღებული ფული; (ვ) წარმოიდგინეთ ისიცა, როგორ გაქრა სოფლებში გამართული შე-მნახველ-გამსესხებელი კასსები და ბანკები; (ზ) წარ-მოიდგინეთ სხვა და სხვა საზოგადო დეპოები რო-მელნიც აგრეთვე გაუმქდნენ. წარმოიდგინეთ ეს ყოველივე და ცხადად დაინახავთ იმასაც, რომ როგორი მოხმარება ვიცით ფულის, და იმასაც, რაოდენად ფხიზლად და პირუთნებელად ვეკიდებით ყოველს საზოგადო საქმეს.

გარეული მაგალითის ნაცვლად რა-კი შინაურ მაგალითები დავადგინეთ, ახლა საჭიროა მოისმი-ნოთ მცირეოდენი შენიშვნა, რომლის ჭეშმარი-ტება შეიძლება მეცნიერებამ არ მიიღოს, და ჩე-მად საკუთრებად დარჩეს, მაგრამ მაინც „თქმას ვამ-ჯობინებ არა თქმასა“. ბუნებას უყვარს წინმსვლე-ლობაში,—როგორც თავის—თავად, ისე იმ შემ-თხვევაშიაც, როდესაც კაცის ხელოვნება ურევია,—სიწყნარე და მწყობრობა, ჰარმონია. ერთი მეორეს უნდა ეთანხმებოდეს, მეორე—მესამეს და ასე ყვე-ლანი ერთად აუჩქარებლივ მსვლელობდნენ. ვინც და რაც ამ წინმსვლელობის წესს დაარღვევს, იმას ელის სასჯელი: უკუმსლველობა. ამასთან ესეც წარმოიდგინოთ, რომ ცხოვრების წინმსვლელობა ჰგავს ციცაბო აღმართზედ მიმავლობასა და უკუ-სლვა-დაღმართში დაქანებასა, და მაშინ ადვილად ვიგრძნობთ, თუ როგორ ძნელია, რომ ერთმა აჩქარებულმა ნაბიჯმა, ან სხვა ამ გვარმა მიზეზმა, ერთის საათის განმავლობაში თავ-პირის მტვრევით ჩამოაქანოს ათის წლის დიდს ჯაფით შეველილი აღმართი. რასაკურველია ძნელად-ღა შეეიძლებ მო-ვიკრიბო მხნეობა, ხალისი, იმედი და ღონე იმავე სიმაღლეზედ ასვლისათვის.

ამიტომ იტყვიან ზოგნი გონიერნი და გაზო-მილ-აწონილი საქმის მოყვარულნი, რომ აუჩქარე-ბლად ნიადაგი მოუმზადოთო გადმოსარგავად სანა-ტრელს მცენარესა, მოვლა-ფარეზი ვისწავლოთო და მერმე გადმოვრგოთო. ამაზედ ადრე გადმორგვა თუმცა ყოვლად სანატრელი მცენარისა დაატკბობს მხოლოდ ბავშვებსა, რომელნიც განუსჯელად ესწრაფებიან ყოველს ახალს შემოღებას და ძლიე-

რის მადა-ყნოსვით შეჭურვილთ კაცთ, რომელნიც ახალის საქმიდგან გამოელიან ამ მადა-ყნოსვის დაკმა-ყოფილებასა.

სიფრთხილეს, წყნარს და მწყობრობით წინსლვას გვიმტკიცეგენ ბ. რედაკტორისაგან მოყვანილი ნაცნობი მაგალითებიცა: ყმების განთავისუფლება, რკინის-გზის გაკეთება და სხვანი. აი, როგორ. რუსეთში ბატონ-ყმობა თითქმის იმ დროს დამკვიდრდა დაბოლოვებით, როდესაც ევროპაში დაწუნებული იყო ეს მდგომარეობა რა საკურველია ეს კარგად ესმოდათ რუსეთის ხემწიფეთა, მეტადრე პეტრე დიდს და ეკატერინე მეორეს, მაგრამ გარემოება მთელისა, ესე იგი სახელმწიფოსი ითხოვდა ამ გვარს შესაწირავს და უარის თქმა არ მოხერხდა. ამ გარემოებათაგან ორს უმთავრესს მოვიხსენიებ გასამართლებლად ზემო თქმულისა.

ხელმწიფობას ეჭირვებოდა ერთგული მოსამსახურეები; ერთ-გულს სამსახურს რიგიანად დაჯილდოება უნდა; დასაჯილდოებლად ხელმწიფობას ხაზინა ნაკლებად ჰქონდა; ამას მეორეც დაერთო: გლეხები, ერთად ერთნი მოხარჯე—მობეგრენი თვითო, ორ-ორ კომლობით და მთელ-სოფლობრივ ემალებოდნენ ხოლმე უსიამოვნო ხარჯ-ბეგრის მოთხოვნილებას სხვაგან სადმე უხვედრს მინდორში გადასახლებით, და ამ გვარს დამალვას წამალი ვერა დაუდვეს რა; წამალი კი საჭირო იყო იმიტომ მაინც, რომ ბინა-დაუდებელი, ველურად აქა-იქ მცხოვრები გლეხი ხარჯის მძლეველადაც უძლური და უქონელი გახდებოდა. ამისთვის მამულები ზედ მცხოვრებელი გლეხებითურთ ჯერ ჯამაგირსავით მოსაქმელად მიაჩემეს ადგილობრივ ეოვეოდებს და მერმე სრულებით საკუთრებად დაუმტკიცეს. რა-კი სახელმწიფო საქმები ჯეროვანს წესში მოვიდნენ, ხალხმა ბინადრობა შეიყვარა და მამა-პაპის კერის ადგილად ეფლარა სთმობდა; რა-კი სახეამწიფო სამსახურისათვის დამაჯილდოებლად შემოიღეს ჯამაგირი, ჩინები, ორდენები და მერმე პენსია, მაშინ შეუდგენენ ყმების გათავისუფლების ფირქსა, მაგრამ მანამ კიდეე ვერ მოიყვანეს ფიქრი აღსრულებაში, ესე იგი, მარტო ის ვერ იკმარეს, რომ ყმობის უსამართლობას სწრაფად და დაუყოვნებლივ ეჭირვებოდა მოსპობა. როგორც დაუმოწმებელს, თავი დავანებოთ იმ ცნობას რომ ვითომ იმპერატორს ალეკსანდრე კურთხეულს და მისს მინისტრ სპერანსკის მზად ჰქონიათ ყმების განთავისუფლების წესდება, მაგრამ აღსრულებაში მოყვანა ვეღარც-კი გაუმხელიათ, ამას თავი დავანებოთ და მოვიყვანოთ მაგალითი იმპერატორის ნიკოლოზ პავლისძის ხელმწიფობიდგან, რომლიდამაც ცხადად დაინახება, რომ ამასაც აწუხებდა ყმების მდგომარეობა. ათასი კომლი თავისუფლების მაძიებელ ოსების სამსახურის ნაცვლად კნიაზ ვორონცოვმა გამოითხოვა 1849 თუ 1850 წელში ხელმწიფისაგან თავად მაჩაბლებისათვის ხუთასი თუმანი სამუდამო პენსია. ინება რა ხელმწიფემ ამ პენსიის ბოძება, უბრძანა ვორონცოვს მოეკითხნა წუთუ სხვა მებატონენიც ისურვებდნენ ამ გვარად ყმების განთავისუფლებასო. ბევიდა ამის შემდეგ თხუთმეტი წელიწადი და ნატერა ბრძანებად გარდაიქცა.

(შემდეგი იქნება.)

რამეოუმე.

თავადი ისე ფაკელენიშვილმა სიშინელი ოფლი იტოდა. ერთსელ შეუდიშზედ, სადაც მრავალი ახალ-გაზდობა იყო, სხვათა შორის ისეც იჯდა და კასუბრის დროსით შეეჭეოდა. რა თქმა უნდა ოფლი ჩვეულებრივ ნიადვარისაგით სდიოდა.

— კნიაზო, უთხრა ერთმა იქ მყოფმა ახალ-გაზდა კაცმა, ნეტა რა სასკელს ეწევით, რომ ასე იწურებით ოფლშიო?

— ჰე, შვილოსა! ოფლი კი არა, რატომ სირცხვილით არ დაგიწვენი, თქვენთან რომ ვშიგარო, მიუკო თავადმა ისევ.

ჩონგურ-მაიორი.

ორი ამხანაგები ერთად სხედან.

— მე სიშინლად მიხარია ხოლმე, რადესაც გაკიგებ, რომ მდიდარს კაცს ღარიბი ქალი შეურთავსო, თქვა ბიჭელმა.

— მერე რას სედავ აქ სასიხარულოს?

— გა! სასიხარულოა, მაშ რა ოხრობაა, ბიჭო! ანა დაფიქრდი; ყველა ღარიბი ქალები მდიდრებმა რომ შეერთოთ, მაშინ ყველა მზითვიანი და მდიდარი ქალები ჩვენთვის დარჩებან.

მეჭორე.

თუ კი ფულები კაცს აფუჭებენ, რატომ არ შეიძლება, რომ კაცმა ფულები გააფუჭოს.

მშიერი ფილოსოფოსი.

მებადეს ჰკითხეს. ამ კალათაში რამდენი ვაშლი გაქვს? მებადემ უპასუხა: არ ვიცი შენი ჭირიმე, მხოლოდ ის ვიცი, როდესაც წყვილ-წყვილათ ვსთვლი, მაშინ ერთი მეტი მრჩებაო, როდესაც სამ-სამად, მაშინ ორი მრჩებაო, როდესაც ოთხ-ოთხად, მაშინ სამი მრჩებაო, როდესაც ხუთ-ხუთად, მაშინ ოთხიო, როდესაც ექვს-ექვსად, მაშინ ხუთიო, როდესაც შვიდ-შვიდათ, მაშინ ექვსიო, როდესაც რვა-რვად ,მაშინ შვიდიო, როდესაც ცხრა-ცხრად, მაშინ რვა და როდესაც ათ-ათად, მაშინ ცხრა მრჩებაო. რამდენი ვაშლი ჰქონდა მებადეს კალათაში?

ტილი პუჭური.

პიატიგორსკში მშვენიერი სამკურნალო წყლებია ავად მყოფებისათვის, მაგრამ ამასთანავე საუცხოო წესები არსებობს, მაგალითად: ჩამოვიდა ერთი დასენებული მოხუცი კაცი და პირდაპირ აბანოებისაკენ გასწია.

— თქვენი პასპორტი? ჰკითხავს წესის დამცველმა.

— რად გინდათ ჩემი ბილეთი? ესა, ესლა გადავეცი ჩემი სახლის პატრონს—მითხრა, პოლიციაში უნდა წარვადგინოვო.

— ეგ ჩვენთვის სულ-ერთია, თქვენ უთუოდ უნდა წარმოადგინოთ ბილეთი, თორემ უბილეთოდ აბანოში შესვლა ყოვლად შეუძლებელია

— რა ვქნა წავალ, იქნება სახლის პატრონს კიდეც გამოართმეული ჰქონდეს პოლიციელისაგან. წავიდა და მოიტანა კიდეც ბილეთი.

— ეგ პასპორტი დამოწმებული არა არის. მოხუცმა გასწია პოლიციისკენ. მივიდა.

— თქვენ თავდა-პირველად უნდა წარმოადგინოთ ექიმის მოწმობა, რითაც ხართ ავად და როგორ უნდა იმკურნალოთ თავი. გასწია ექიმისაკენ, ექიმი ეუბნება:

— უფროსი ექიმისაგან უნდა გქონდეთ მოწმობა, ისე ვერ დავამოწმებ. რას იზამდა. გასწია უფროსი ექიმისაკენ. ასე რომ მეხუთეღე დღეს ავადმყოფს ფეხი გაუჭიმავს—აი ესეც სამკურნელო წყლები, გამაცოცხლებელი აბანოები!...

ჰაერი

არითმეტიკული გამოცანები.

ეზოში დგას ერთი ბოძი, რომლის სიმაღლე 13 არშინს შეადგენს. ბოძის ძირს მიმალულა ერთი ჭია, დამით ადის ბოძზედ მხოლოდ ოთხი არშინის სიმაღლეზედ და დღით კი 3 არშინს ისევ ძირს ეშვება. რომელ დღეზედ იქნება ჭია ბოძის წვერზედ?—

---

19 გამომირიცხეთ ერთი, რომ დარჩეს 20?

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ 45—დან გამოვრიცხოთ 45 და ბოლოს მაინც დარჩეს 45?

რა რიცხვი უნდა გაამრავლო ერთზედ, რომ გამრავლების შემდეგ მაინც ერთი დარჩეს?

ცინგლიანი მატემატიკოსი.

თეატრი და მუსიკა.

ა. გ. რუბენშტეინს თავისი კონცერტები ინგლისში უკვე დაუმთავრებია. სულ გაუმართავს 106 კონცერტი, რომლიდამ 41 ღარიბ არტისტების სასარგებლოთ ყოფილა; დანარჩენი კი 65 თავისი სასარგებლოთ, რომლის შემოსავალი შეადგენს სულ 200,000 მანეთს, ხოლო ამ ფულიდან 80,000 მანეთი ღარიბ სკოლებისათვის შეუწირავს. ინგლისის გაზეთები აღტაცებით იხსენიებენ რუბენშტეინის ქველ-მოქმედებას და მართალნიც არიან ჩვენს მატერიალური ჭკაპან-წყვეტის დროს ასეთი გულ უხვი ქველ-მოქმედება მეტად იშვიათი მოვლენაა, მეტადრე არტისტებისაგან. „რასაც გასცემ შენია, რასაც არა დაკარგულია“ ჭეშმარიტი სიტყვებია და ჭეშმარიტაც უხდება გამოჩენილს და გულ-კეთილ ა. გ. რუბენშტეინს.

ერთი იმპერატორის. თეატრის არტისტი, ახლო ნაცნობი ა. ასტროვსკისა, როგორც გვატყობინებს გაზ. „Нов.“, სწერს თავის წარსულ მოგონებებს, რომელშიაც იქნება ბევრი საინტერესო მოთხრობანი გამოჩენილ გარდაცვალებულ დრამატიულ მწერალზე.

ხმა სხვა-და-სხვა კუთხიდამ.

ჩვენ მივიღეთ ბ-ნი ა. ცხვედაძის გრძელი წერილი პასუხად ბ-ნი ლადო გულისაშვილისადმი. მართალია, ბ-ნი გულისაშვილის წერილი--კორესპონდენცია ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომელიც, უეჭველია, მკითხველებსაც ესსომებათ. ბ-ნი გულისაშვილი აშკარავებდა ზოგიერთი უწესოებას საკარეჯოსი დეპოსა და ბანკისას და სხვათა შორის შეესებოდა ბ-ნი ა. ცხვედაძისაგან საქმის კოჭლად წაყვანას... რა თქმა უნდა, რა კი ერთხელ ბ-ნი გულისაშვილის წერილი დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში, ჩვენ ზნეობრივ მოვალენი ვართ დავბეჭდოთ აგრეთვე ბ-ნი ცხვედაძის პასუხიც. ეს ჩვენ წესად გვაქვს დადებული და ყოველ შემთხვევაში ასე ვიქცევით ხოლმე, მაგრამ ბ-ნი ცხვედაძის წერილის დაბეჭდვა არ შეგვიძლიან და, აი რა მიზეზითაც; ჯერ ერთი, რომ წერილი მეტად გაჭიანურებულია (სამი თაბახი ორივე გვერდზედ დაწერილია) მეორე და უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ წერილი უშვერი სიტყვებით და ლანძღვა-გინებით სიგრძე-სიგანეზე აჭრელებულია. ამ ლანძღვა გინებით ბ-ნი ა. ცხვედაძე თავს რომ იმართლებდეს კიდევ ჰო-- შესაძლებელი იყო დაგვებეჭდა წერილი, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ბ-ნი ა. ცხვედაძე საქმეზედ კრინტსაც არ იღებს და დაწერილებით ლადო გულისაშვილის და მისი კომპანიის ჭუჭყიანი ბიოგრაფიას დიდის ქშსით მოგვითხრობს. ჩვენ ამ გარემოებასაც არ მივხედავდით--დავბეჭდავდით ბ-ნი ცხვედაძის წერილს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბოლოს თვითონ ბ-ნი ცხვედაძესვე თავისი პასუხი სათაკილოთ გაუხდება--ამიტომაც ვამჯობინეთ: წერილი იმ სახით, რა სახითაც დღეს არის, არ დაიბეჭდოს. ხოლო ჩვენ სრულიად თანა ვუგრძნობთ ბ-ნი ა. ცხვედაძის საფუძვლიანი თხოვნას, რომელიც წერილის ბოლოს არის მოქცეული და ვბეჭდავთ კიდეც: „სიმართლის აღსადგენათ და მის დასაცველად მივმართავ ამ სტატიის ბოლოს კეთილგონიერ მკითხველ ქართველთ, რათა მათ ამოირჩიონ საქმის მცოდნეთა და სხვანი დასთანდა შორის მედიატორები და მათ მიენდოთ გარჩევა ადგილობრივ, როგორც ჩემი მოქმედებისა, ისე ლ. გულისაშვილისა და მისი მომხრეებისა, რომელთაც ვითომც საზოგადო საქმეების გულ-შემატკივრობით ჰსურთ აღმოაჩინოთ რაიმე ბოროტება, როგორც ბანკისა აგრეთვე დეპოსი.

ა. ცხვედაძე.

„თეატრის“ ფოსტა

ბ-ნს ც—ს თქვენი ლექსი „ამირანი“ ვერ დაიბეჭდება. ამირანი ძველი თემაა და თქვენი ლექსი კი ახალსვერაფერს გვეუბნება, ეს კიდევ არაფერი—ზოგან თარგმანსაც ჰგავს. დანარჩენი თქვენი ლექსები პირველივე შემთხვევაში დაიბეჭდებიან, თუ კი, რა თქმა უნდა, საქმე მარტო ჩვენზედ იქნება მიგდებული. იმედი გვაქვს, რომ რედაქციას არ მოაკლებთ თქვენი მშვენიერი კალმის ნაწარმოებს.

ბ-ნს ალ. ც—რ—ძეს. თქვენი ლექსები ვერ დაიბეჭდება, რადგან პოეზიას ისე მოშორებულნი არიან როგორც ზეცა დედამიწას. უმჯობესი იქნება თქვენთვის და ჩვენთვისაც, რომ პროზით სწეროთ ხოლმე. ნუ დაგვივიწყებთ.

ბ. ა. ს ა ქ ა რ ე ლ ს თქვენი ლექსი „დილა“ მეტად სუსტია. იქნება სხვა რამე გამოგვიგზავნოთ—გვსინჯავთ—შესაძლებელია რომ გამოდგეს. ნუ დაგვივიწყებთ.

„ხ მ ა გ ა ნ კ ი ც ხ უ ლ ი ს“ ავტორს—თქვენი ლექსი რედაქციამ განიკიცხა კიდეც და განდევნა—პროზით სწერეთ.

ბ-ნს—„თ ე ა ტ რ ი ს მ უ შ ა ს“ თქვენი ლექსი არაკი არც არაკსა ჰგავს და არც პოეტური ფანტაზიას. ნუ ივიწყებთ, რომ ყოველს სულდგმულს, ყოველს კაცს, ყოველს ნიჭს თავისი ქერქი, თავისი ფერი; თავისი გზა აქვს, თქვენ კი ამ ლექსში თქვენს გზას აცილებულხართ. ნუ დაგვივიწყებთ.

ბ. ა ლ ი ს უ ბ ნ ე ლ ს თქვენი „ამორჩეული აზრები“-დან ზოგიერთნი დაიბეჭდებიან.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს და ა ნ ა ს ტ ა ს ი ა ს თქვენი ლექსები, ბატონო და ქალბატონო, მეტად შინაური ხასიათისაა, ამის გარდა არც ლექსიც არის სათვალჩინო. ჩვენთვის არ გამოდგება—მაინც ნუ დაგვივიწყებთ.

„ქნარის“ ავტორს—თქვენს ქნარს სიმები თუ მოეშალა, თორემ ასე უგემური ჟღერა ან ქნარის ბრალია ან დამკვრელისა.

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერ გ. გუნია.

განცხადებანი

„თეატრი“

საყოველთაო-კვირეული ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

გამოდის კვირაობით. იბეჭდება—მოთხრობები, რომანები, პიესები, ლექსები ხალხური და ხელოვნურიც, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, ფელიეტონები, გამოცანები, იგავები და სხვა. წლიური ფასი გაზეთი „თეატრისა“ **5** მანეთი, ნახევარი წლის ფასი **3** მანეთი

ნახევარი წლიწადი ითვლება 1 იანვრიდამ 1 ივლისამდე და პირველ ივლისიდან 1 იანვრამდე. ამიტომ ვისაც ჰსურს ხელის მოწერა იმათ შეუძლიანთ ამ თავითვე შემოიტანონ 3 მანეთი იანვრის 1887 წლამდე. ცალკე ნომრები „თეატრისა“ ღირს 15 კაპ. ისყიდება თბილისში 1) თვითონ რედაქციის კანტორაში არწრუნისეულ ქარვასლაში, 2) ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში 3) გოლოვინის პროსპექტზედ მაღაზია „ივერიაში,“ 4) ხიდის ყურთან ალიხანოვის პაპიროსის მაღაზიაში და 5) ქუთაისში მმ. ჭილაძესთან.

სტამბა და წიგნის მაღაზია

გრ. ჩარკვიანისა

თბილის, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ტაბალოვის სახლი.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო საქ-

მეებს დასაბეჭდათ.

სტამბა და წიგნის მაღაზია

ალ. მირიანაშვილი

ჭადრაკ მოთამაშე

სამეწვილო წიგნი

ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგ. მაღაზიაში.

ფასი 10 კაპ.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 14 іюня. Типографія Гр. Чарквіани. სტამბა გრ. ჩარკვიანისა.